ფრიდრიხ ნიცშეს სწავლება იგივეს მარადიული დაბრუნებისა და ზეადამიანის შესახებ მარტინ ჰაიდეგერის და ჟილ დელიოზის ინტერპრეტაციებში

რუსუდან მახათაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფილოსოფია

ხელმძღვანელი: გიგა ზედანია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც, წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

რუსუდან მახათაძე

25.06.2021

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ფრიდრიხ ნიცშეს მარადიული დაბრუნებისა და ზეადამიანის ურთიერთმიმართების დადგენას მარტინ ჰაიდეგერისა და ჟილ დელიოზის ინტერპრეტაციებში. ნაშრომში წარმოდგენილია ხსენებული ორი ავტორის ხედვებს შორის არსებული განსხვავებები და მსგავსებები, ასევე, მათი შესრულების გზები. ერთი მხრივ, მარადიული დაბრუნების შინაარსისა და ძალაუფლების ნების ერთიანობის, ხოლო მეორე მხრივ, მათი ნიჰილიზმთან კავშირების ფონზე, გაანალიზებულია ზეადამიანის მიერ ნიჰილიზმის გადალახვის საკითხები.

ჰაიდეგერისთვის, ნიცშეს ფილოსოფია არის დასავლური მეტაფიზიკის დასასრული, ხოლო ზეადამიანი - მისი უმაღლესი დეტერმინაცია, რომელიც ნიჰილიზმის ისტორიას ასრულებს. მისთვის, მარადიული დაბრუნება, როგორც ყოფიერის ყოფიერება და ზეადამიანი, როგორც ადამიანის არსება ერთმანეთს განაპირობებს და ერთმანეთის გარეშე ვერ გაიგება. დელიოზის ინტერპრეტაციაში ზეადამიანი წარმოდგენილია, როგორც ნიჰილიზმის გადამლახველი და ადამიანისგან სრულიად განსხვავებული ტიპის არსება. ხოლო მარადიულ დაბრუნებასთან ზეადამიანისა და ზარატუსტრას ფიგურების განსხვავებული მიკუთვნებულობის გამო, ეს განსხვავებები წარმოჩინდება ნიჰილიზმთან მათ მიმართებებშიც, შესაბამისად, ამ უკანასკნელის გადალახვის მცდელობებშიც.

სამაგისტრო ნაშრომში, ორი ავტორის აზრის განვითარების შეპირისპირებით, გაანალიზებულია მათ შორის წარმოშობილი წინააღმდეგობები, მათი მიზეზები და სამომავლო კვლევის პერსპექტივები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: იგივეს მარადიული დაბრუნება, ყოფიერება, ქმნადობა, ზეადამიანი, ძალაუფლების ნება, ნიჰილიზმი, ტრანსფორმაცია, ძალები, აქტიური, რეაქტიული, აფირმაცია, ნეგაცია.

Abstract

This master's thesis aims at determining the relations between Nietzsche's teachings of the eternal return of the same and the overhuman in Martin Heidegger's and Gilles Deleuze's interpretations. The paper presents the differences and similarities between the perspectives of these two authors, as well as the ways of fulfiling them. The issues of overcoming nihilism by the overhuman are analyzed against the unity of the content of the eternal return of the same and the will to power, on the one hand, and their connections to nihilism, on the other.

For Heidegger, Nietzsche's Philosophy is the end of western metaphysics and the overhuman is the highest determination of the essence of man which completes the history of nihilism. For him, the eternal return as the Being of beings and the overhuman as the essence of man are determined by each other and are incompresensible without each other. In Deleuze's interpretation, overhuman overcomes nihilism and is a type of being completely different from man. And because the overhuman and the figure of Zarathustra belong differently in the eternal return, these differences make themselves shown in their different relations toward nihilism, that means, in overcoming the latter.

By comparison of the development of thought of these two authors, this master's thesis analyzes the contradictions between them, the reasons of those contradictions and the prospects of future research.

Key words: eternal return of the same, Being, becoming, overhuman, will to power, nihilism, transformation, forces, reactive, active, affirmation, negation.